


6984

ქართული  
ბიბლიოთეკა

# ნაქაღუღი



საქართველო ეუზნალი  
მცირეფლტვანთათვის

ივლისი №№ 13, 14. 1917 წ.

38

# მედიკალი

საქართველოს  
საქართველოს  
1879

წელიწადი მე- XIII.

№№ 13, 14

თბილისი, 1917 წ.

8185-  
F-5818



საქართველოს  
საქართველოს  
1879

თბილისი  
საქართველოს  
1917

# შინაარსი:

I—სურათი, . . . . .	1
II—ცელქი იყო ილიკო, —ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . . .	3
III—წერილი ფუფალასთან, —დ. კასრაძისა . . . . .	4
IV—ნუ მოკედება, —ალესი . . . . .	11
V—ფათერაკი, —ალ. სალარიძისა. . . . .	19
VI—მერცხლების გადაფრენა, —ბაბილინასი . . . . .	25
VII—სპილო და ვირთხა, —თარგმანი შიგიტასი . . . . .	27
VIII—გასართობი: —რეზუსი და ახსნა. . . . .	32



## ცელქი იყო ილიკო

ცელქი იყო ილიკო,  
ცელქი, დაუდგრომელი;  
დილით ადრე ადგომას  
დაასწრებდა რომელი?

აგერ ადრე წამოდგა,  
ბაღში გაინაჯრება;  
სეზე ბუდე შენიძნა,  
უსებ მალღა აჯარდა.

ტოტისკენ გადიხნიქა,  
ბუდეს მიჭუო სელია...  
ოჰ, ბარტყების დაჭერა  
რა ძალიან მხელია!

მაგრამ ტოტმა უძტუუნა,  
იწუო ჭგუნა, ჭრიხლი;  
ილა შირს ჩამოვარდა,  
მწარედ მოართო ღრიხლი.

ცელქი იყო ილიკო,  
ცელქი, დაუდგრომელი;  
დილით ადრე ადგომას  
მოასწრებდა რომელი?...





## წერილი ფუფასთან

1



სკული!.. დედილო... დედი... დედიკო!.. ლა ვქნა,  
გაიღვიძე!.. დედილო... კაკალო!..

თადულა მოესვია. აკოცა. ცივ შუბლზე და-  
კონებისაგან გააქროლა. ფრთხილად გულზე  
მოუცაცუნა ხელები საუვარელ მუძუებთან, მავრამ  
ისევ უკან წამოიღო: ასე ცივი არასოდეს არ ენახა. წამოჯდა.  
დაღონებული დაჭურვებდა დედის უძრავ სახეს, მის უცნაურად  
მისუჭულ თვალებს.

ეს ზირველი როდია, რომ დედას ასე გვიან გაჭლვიძე-  
ბოდეს. აგერ ერთი კვირეცაა, რაც იგი თადულასათვის ვეღარ  
იცლის. რაც გიგა ომში მოსტაცეს და ოჯახში უკაცოდ დარჩა,  
მისთვის ერთი დღეც არ გათენებულა ბედნიერი. ზირველად  
შახი არ გაიტყნა. თადულა ქმრის მაგიერ ვაჟკაცად ეგულე-  
ბოდა. დიდის მსხეობით უმკლავდებოდა განსაჭირს, იმ იმედით,  
რომ დღეს ან სვალ დაუბრუნდებოდა ოჯახის ბურჯი. მაგ-  
რამ აი, ეს მესამე საშთარი დადგა, და მისი ლოდინი ღო-  
დინად დარჩა.

ბოლოს აცნობეს: გიგა ტყვედ წაიყვანესო. შემდეგ გიგას  
წერილიც მიიღო: „ჩემო შინობი, გულს ნუ გაიტყვ, მალე

ჩამოგეშველებიო“. ზინობიამ თავშირში წაიშინა, ბევრი ივა-  
 კლასა, და თუ თავი არ მოიკლა, სულ თადუღას გამო: იმას  
 ვინდა უზატრონებსო. ბოლოს გული მოიცა, გაიორკვეცა ძალ-  
 ღონე, მაგრამ მეტის-მეტმა კარჯილობამ ძაღე მუსლი მო-  
 ჰქვეთა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნათესავებს და მესობ-  
 ლებს მოსწუინდათ მისკენ ხელის გაწოდება.

ვის როგორ გაამტყუნებდით, როცა ეველას თავისი გა-  
 სჭირვებოდა? ამიტომ იყო, რომ დღიდან-დღე აუტანელი ვოფა  
 ხდებოდა ზინობიასთვის. ამასობაში ზამთარმაც შემოურთია  
 უფრო მკაცრად, ვიდრე ეს იყო წინა წელში. სიცვივეს უსძელ-  
 უჭძელობა დაერთო. ერთად-ერთი სასრუნხავი ის ჰქონდა, რომ  
 თადუღი ვისთვისმე ჩაებარებინა; მაგრამ ვისთვის: სწორედ  
 ამ ფიქრებმა ჩააჭკნო და ლოკინად ჩააგდო.

ჯერ კიდევ იმ დღეს გამოაცხო კვეციმჭადი, სულ კენესა-  
 სუნეშით გაატარა მთელი დღე და ღამე. თადუღა რომ აკანკა-  
 ლებული დაინახა, ტირილი მოერია, მაგრამ ცრემლები არ  
 აწნდა. როგორც იყო გამჭვარტლულ ხარისიდან გიგას ძველი  
 ასალუსი ჩამოიღო, კალთები შემოაჭრა და ისე შეჭმოსა თავისი  
 ზირძმო. მართალია, თადუღა სასაცილო სასახავი იყო გრძე-  
 ლი სასელოებით და კალთებით, მაგრამ ეინვას თუ გაუძლებს  
 ადამიანი, შნოსა და ღახათს ვინდა დაემებს: და აი, თადუ-  
 ღაც ბედნიერი იყო, რომ მაძის ასალუსით ძვლები შეითბო.

— დედილო, მამას ტოლა ღო ვიქნები, ჭლეღ კაბას ვი-  
 კიდი...— უახრა აღტაცებულმა ზატარამ.

— ჰო, შვილო, ჰო, ვიცოცხლოთ და...

დედას ზახუსი მისმა ცრემლებმა დაამთავრა.

## II

დღეს კი ვერაფრით ავხსნა თადუღას დედის ასეთი სი-  
 ჩუმე. აკერ შუადღემაც მოაღწია და გატვრენილი უცდის დე-  
 დის გამოღვიძებას. ჰშიოდა.



— დედილო... დედიკო!..

შესძახა სელასლად და კურცხალი ცრემლი კადმოჭვარა. თანაც სმა-ძალდა ტირილს ვერ ჰბედავდა, — ეხათებოდა დედისა. ხათრი და შიშხილი ერთხირადა სტანჯავდა, რომ რაღაცა გაახსენდა. იფიქრა, დედა ავად არის და ავადმოყუთა მხსნელი ხომ ფუფაღა არისო. ეს თვითონ დედისგან კარგად იცოდა.

ისწავლა „წმიდაო ღმერთო“. ფუფაღა ეოვლად შექმლევა, და რახაცა სთხოვ, — გაგიგონებსო. გაიხსენა ეს და დაინოქა. რამდენჯერმე „წმიდაო ღმერთო“ წარმოთქვა, თანაც ზირჯვარს იწერდა. როცა წამოდგა, სიხარულით გადისედა, აბა გამოიღვიბ და დედამ, თუ არაო. დედა რომ უძრავად დაინახა, ისევ დაღონდა წარბები შეიკრა. გულ-აჩუყებით მოჭვება ტირილს. შიშმა აიტანა. ფრთხილად მივიდა ლოკინთან და ხახად გადასძახა:

— დედიკო... დედი...

არავითარი სმა. შუბლზე აკოცა. შეჩერდა. კვლავ თვალებში დაუწყო ეურება. იგივე დუმილი. ახალუსის გრძელი კალთებით ცრემლები მოიწმინდა.

— უნდა ვუშველო რაბე, — გაიფიქრა. ძავრამ როგორ: თვითონაც არ იცოდა. ბოლოს გაახსენდა, რომ ძამის წერილი მოვიდა ერთხელ. მოიგონა ისიც, რომ წერილი სოფლის მასწავლებელმა ქალმა გადუთარგმნა და ზასუსიც იმასვე მიაწერინა დედამ. სწორედ ამ დროს ხარსაც ჩამოჭკრეს. ბავშვს ხახე გაუბრწეინდა.

— დილილმე, წავიდე მასწავლებელი ვნახო...

### III

— კაკ-კაკ-კაკ!..

— ვინ არის? — იკითხა სოფლის მასწავლებელმა ქალმა, რომელმაც ის-ის იყო გაკვეთილები გაათავა და სახადილოდ გაემართა თავის ოთახში.



— ავად არის დედა?

— ჰო... სუ ძინავს... ფუფაღას მივწელოთ—მაღე გააღვიძოს...

— კარგი, კარგი... აი, დავწერ...

მასწავლებელმა ქალმა კალაში სელში აიღო და ქბაღდასე განგებ გაუსვ-გამოუსვა.

— აი, დავწერე კიდევ. ახლა ფუფაღას წაიკითხავს...

თადულას სანე გაუბრწეინდა. ქუდი იღლიდან გამოიღო და შინ განსაქცევადა დაემზადა, რომ ამდგარი დედა დაენახა; მკრამ მასწავლებელმა ქალმა შეახერა:

— მოიცა, მოიცა. შენ რა გქვიან?

— თადულა.

— ხემა თადული. მე და შენ ერთად წავალთ. ჯერ კი ფუფაღამ მოძწერა—ესა სწამოს ზატარა თადულამხო.

ბავშვს წვენი დაუსხა და ქათმის ნაჭერი გადმოუდო. თადულა გემრიელად იღმურძლებოდა, რომ მასწავლებელმა ქალმა უკვე შალი მოისხა თავსე და წამოსასვლელად გაემზადა. თადულა რომ ადგა, ზურის უს იღლიაში ამოიღო.

— მასწავლებლო, ეს დედას...

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა: დედასაც ჰშია... სულ ფუფაღას გამოგსაფინილია: შენც უნდა სწამო, დედამაც... ახლა წავიდეთ...

თადულა ცხსა სწვდებოდა სინარულით, როცა ორნივე კარში გავიდნენ.

#### IV

როცა კარი შეადო, მასწავლებელს გააკანკალა. ეინვა და საძინელი სინუძე გამეფებულიყო ოთახში.

— აი, დედიკო აქაა!

მკვრამ თადულას ჩვენებს აღბრა სჭიროდა მასწავლებლებს.

— შენ აქ გახვრდი, ზატარაჲ, დედას მე ვნახავ...

მივიდა, დანედა, გაუინულ შუბლზე სელი გადაუსვა. შემდეგ მავა გაუშინჯა. არავითარი მოძრაობა.

— საწუხლი!...

მდურბად წაიხურნულა თავისთვის და ზირი კედლისკენ იბრუნა, რომ თადულის არ შეეძნნია მისი ცრემლები. შემდეგ სასე მოიძნირულა და თადულისკენ წამოვიდა.

— იცი, თადული: დედას სძინავს... ფუფალამ შემოსთვალა, არ კაღვიძოთ დედიკო. თადულა შენთან წაივანე, და როცა გაიღვიძებს, დედიკო მაშინ აჩვენეო. წამოხვალ?

— ჰო, მკვრამ დედიკო?!

— აკი გითხარი—სძინავს... წავიდეთ, კიდევ მივწეროთ წერილი ფუფალას... ის ისე კარგია, რომ... მეცა მჯობიან, დედიკოსაც... სულ ოქროს ჩიტებს მოგიტანს...

თადულა მსიარულად გაჰქვა. თბილს ოთახში კარგა ხანს იცეკლა; ათახში ერთხელ გაანსენდებოდა დედა, მკვრამ მალე ივიწუებდა. სითბომ და ალერსმა მალე ტკბილად ჩააძინა. მის თამაშობისა და ძილის დროს კი მასწავლებელმა ქალმა უკვე მოასწრო საქმის მოგჭარება. მღვდელთან კაცი აფრინა, რომ მიცვალებულისთვის ესრუნათ.

შეორე დღეს თადულამ ერთის ამბით გამოახილა თვალები.

— სხვა, ჩემო ზატარა, როგორ გეძინა?

— კალვით! ფუფალა ვნახე... დედიკოც... მკოცა დედიკომ და ისე მითხრა: შეილო, შენს წელილს ახკელოზები კითხულობენო.

— აკი გითხარი, ფუფალა დედიკოზე კარგია შეთქი. დედიკო მორჩა...

— მელე სად აღის?

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

— ფუფუნასთან... შენც აკი ნახე... ასე შემოსთვალა, ჭკუდასთან  
ნად იუბვი და ეოველთვის გინახულებო. აი, ჩემთან იქნები,  
ისწავლი და შემდეგ ფუფუნას შენ თვითონ მისწერ დედი-  
კოსთან, რაც გულით გინდა...

მასწავლებელმა ქალმა გადაჭკოცნა. მისი ცრემლები ბავ-  
შვის სამადლობელ ცრემლებში აირია...

იმ დღესვე თადულა სოფლის სკოლაში წავიდა თავის  
კეთილისშობელთან ერთად და დიდის ბეჯითობით შეუდგა  
სწავლას, რომ ძალე საკუთარი ხელით მიეწერა საუფარულ დე-  
დიკოსთვის კულის ნაღები...

დ. კახიანი



— ფუფუნასთან... შენც აკი ნახე... ასე შემოსთვალა, შკპრბა-  
ნად იუბვი და ვოველთვის გინახულებო. აი, ჩემთან იქნები,  
ისწავლი და შემდეგ ფუფუნას შენ თვითონ მისწერ დედ-  
კოსთან, რაც გულით გინდა...

მასწავლებელმა ქალმა გადაჭკოცნა. მისი ცრემლები ბავ-  
შვის სამადლობელ ცრემლებში აირია...

იმ დღესვე თადულა სოფლის სკოლაში წავიდა თავის  
კეთილისმოყოფელთან ერთად და დიდის ბეჯითობით შეუდგა  
სწავლას, რომ ძალე საკუთარი ხელით მიეწერა საუვარედ დე-  
დიკოსთვის გულის ნაღები...

დ. კახიანი





## ნუ მოკვდები!..

(გემზ ბიძაშვილს—ფიგურს)



თელი ცხრა თვე ისე გაატარა თინიკომ, რომ სოფელი არ უნახავს, და ეს ცხრა თვე მთელ საუკუნედ მიაჩნდა. როგორც იყო—ნატვრა აუსრულდა: სწავლა გაუთავდა და, შემდეგ კლასში გადასული, ძლივს თავის საუფარველ სოფელში დაბრუნდა.

სახლში შესვლისთანავე ქუდი მოიგლიჯა და ისევე კარებს უნდა სცემოდა, რომ თავისი დიდი ხნის უნახავი მეგობრები ენახა.

— სად მიხვალ, გოგო!..—მიაძახა აღფრსით მისმა მო-

ჩიუჩიუე, თალხად ჩაცმულმა და სახე-ღარებიანმა დიდგამი:—  
გოგო, აღარ შეჩვენები, შე დასალუწავო?

ამ სიტყვების შემდეგ გასაქცევად გამზადებული თინიკო დაიჭირბ და სასოებით გულში ჩაიკრა.

— ჰა, გოგო... რომ პირბისარ,—შენი დიდგმა აღარ გაკონდებო?... ისევე ისეთი უჩაღანა უნდა იყო?...—აქ დედამაც შენიშნა, რომ ჯერ დიდგმას უნდა მისალმებოდა, რადგან უფროსია, მისი დიდიდგმა.

თინიკო უსძენდა მათ, თავი ოდნავ ჩაეღუნა და თვალებით კი კარებთან შეგროვილ გოგო-ბიჭებს უდიმოდა,—შორიდანვე აღეზიანებდა თამაშობის წადილს. მისი შეგობრებიც იდგნენ კარებში, ჩუმი იცინოდნენ, ჩურჩულებდნენ და ელოდნენ, როდის გამოუსხლტებოდა ხელიდან თინიკო თავის „ბებრუცანა დიდგმას“, როგორც ეძახდა ხოლმე მას თინიკო.

მაგრამ არც დიდგამი აწუენინა ზატარებს, როდესაც დანახა მათი ერთმანეთისაკენ ესოდენი ლტოლვა. და ის იყო ხელები გაუშვა დიდგამი, რომ თინიკო ტუვიასავით ყვან კარებს და შეგობრებ-ტოლებში ჩაერია. წამსვე კივილ-ხივილით გაეშურნენ ესოსკენ. მას შემდეგ თინიკო ერთხელ შემოვარდა შინ ცოტა ტებილფულობის და სათამაშოების წასადებად; მერე იმდღეს თვალით აღარ დაუნახავთ. ტუვილად ეძებდა დედა, ამაოდ ეძახდა,—თინიკოს ვერ ეთმოებოდა გოგოები და ისევე მათთან აძჯობინებდა.

როდესაც კარკა შებინდდა, მაიკომ მესობლიანთ ფუეე კავზაუნა თინიკოს მოსაუვანად, თვითონ კი თავის დედამთილით ჩაის შეექცა.

— არ მოვიდა ეკ საძაკელი, შინ ხომ ვეღარავინ ნახავს,—სთქვა უკმაყოფილოდ მაიკომ.

— რა უშავს, შვილო, ბაღი... ესლისება... — ეტოდა დიდება.

ამ დროს კი თინიკო ერთ დედაბრის სახლში იყო და მის ძეგობარ მაროსთან ფუსფუსებდა. შებოლვილ-შეჭვარტლულ კედლებს ძლივს ანათებდა ზატარა მინაკვარი\*), რომლის მკრთალი შუქი ხალიჩიან ტანტზე შწოლარე ავაღმოფ ქალის ფერ-მკრთალ სახეს მისდგომოდა. მოხუცი კეკე ავაღმოფის თავით იჯდა, მუსხლებზე იდაუე-დაურდნობილი, დაფიქრებული ერთ წერტილს მისჩერებოდა და ხან-და-ხან თავს აქნევდა. თინიკო და მამო ტიკინებს ათამაშებდნენ და ტკბილად ჭუკ-ჭუკობდნენ. მთელ სახლში რაღაც ჩუმი, მძიმე ჰაერი ტრიალებდა.

ავაღმოფი ქალი მაროს დედა იყო, რომელიც აკერ მესამე კვირას, რაც ლოგინად ჩავარდა და არსებით სჩანდა შველა. მამა მაროსი ომში იყო გაწვეული, და მისგან უკვე კარგა ხანია წერილი არ მოსვლიათ. ის იყო ერთადერთი მარხვანილი კეკეს ოჯახობისა, ერთადერთი იმედი... და დღეს ამ ოჯახის კეთილდღეობას ბოძი აქვს გამოცლილი და დაქცეულია... ასეთი გაჭირვება ჯერ არ უნახავს კეკეს, და ახლა რომ წერტილს მისჩერებია სადღაც ბნელ კუთხეში — ეს სხნის, ვამოსავლის ძიებაა, ვაებაა მისი მოხუცი გულისა, და ეს ვაება, ეს შეწუსება უძინო ფანჯრებიდან და კრამიტებაძლილ ბანიდანაც მოსჩანდა, რასაც ეველა გამუღელ-გამომუღელი იგრძნობდა უჩვეულად.

თინიკო, თუძცა ჯერ კიდევ ზატარა იყო, მაგრამ რაღაც იდუმალი, მისთვის გაუგებარი გრძნობა ჩაესახა გულში და რა-

\*) მინაკვარი — ლამაზი, სოფლად გავონილი სიტყვაა.

დაცნაირად აუხქროლა იგი... მისი გულითადი მეგობარი მარო დასეულ და გაცვეთილ კაბაში იყო, ფეხშიშველად... დიდება კეკე ხომ თითქმის ძონძეებში დადიოდა... რაღაც სიბრაღული და თანაგრძნობა გამოიწვია თინიკოს გულში ამ სურათმა, რაღაც ჩაეკონა მის არსებას, უსურვავის წნელივით.

მაროს დედას რომ მიუახლოვდა და გაეფითლებული, გამსდარი და განსურებული ხელი ჩამოართვა, — ცრემლები მოერია თვალებზე და იმ წუთიდან რაღაც ნახი, განუსახდვრელი სიუპარული იგრძნია. მეგობარ მაროსადმი.

— ძია სანდრო სად არი? — ჰკითხა თინიკომ ბავშვურად თანამგრძნობ კილოთი და თან გაიკვირვა, რომ „ძია“ უთხრა და არა „შენი ძამა“, რადგანაც ასე აპირებდა თქმას.

— ომშია, შვილო... — მაროს მაგიერ ღრმა ამოოხვრით უპასუხა კეკემ.

მაროს დედა ოდნავ კენესოდა, სიცხე ჰქონდა. და კეკე ტილოებს უცვლიდა. იგი ჩუმად იწვა, გარინდებული, უძრავი, და სანამ არ დაიკვნესებდა — მისი იქ ეოფნა არაფერს ეძინეოდა. თინიკოს კითხვაზე მაროს დედამ ამოიკვნესა და უსმოდ ცრემლები გადმოუარა.

თინიკომ რომ შეხედა აუადმოფის გამსდარ, მტირალ სახეს, გული მოეკუმშა, ტირილი დაიწყო.

— რაღა ტირი, შვილო?! — შეეკითხა კეკე, და შერე, თითქოს გაიგო ვეელაფერიო, დაუმატა: — დიდება შენს მოწეალებას, ღმერთო, რომ ბავშვსაცკი ატირებ ჩემს გაჭირვებასეო!.. — თვალები მოიწმინდა კაბის კალთით და რძალს დაშვიდება დაუწყო.

თინიკომ რაღაც სიასლოვე, ნათესაობა იგრძნო ამ  
ში, რაღაც ნდობა და სიუვარული იგრძნო კეკესადმი, ძარო-  
სადმი, მის დედისა და შორს გადაკარგულ ძაძისადმი. თინი-  
კოს აღარ უნდოდა წასვლა აქედან: მას უნდოდა თამაში ძა-  
როსთან, რომელიც ასეთი უიღბლოა და გულნატკენი, რო-  
მელიც ასე ეცოდებოდა. თინიკოს ძალიან უნდოდა მასთან  
ტიკტიკი და კართობა. და ვერც კი შეაძწნია, როგორ დაღამდა:  
სოლო როცა ფეფე მოვიდა მის წასაუვანად, თინიკო უკმაყო-  
ფილოდ გამოეთხოვა და შიბტოვა ძარო.

— სად იუავი, ჩამო მწეთუნახავო? — შევეითხა დედა თინი-  
კოს, როცა უკანასკნელი სახლში შევიდა და განაღებულ ოთახ-  
ში თვალების ბუტვა დაიწყო.

— დიდება კეკესანთხა... ძაროს... — მიუგო თინიკომ და თან  
უნდა მოეუღლა, რაც ნახა, რამაც შეაწუხა.

— უი, დამიდგეს თვალები, — სახადიანთან? — წამოიძახა მის-  
მა დიდებამ და წამოხტა.

დედაც მივარდა და წამსვე გამოუცვალეს ტანისამოსი, ხელ-  
ხირი დაჭბანეს.

— დიდი ხანია, რაც ავად გხდა? — იკითხა თინიკოს დე-  
დამ, როცა ისევ შემოუსხდნენ ჩაის.

— ძალე სამი კვირა იქნება... ეექს... არავინა ჭეპვს საცო-  
დავს მომვლელი, თორემ... — სთქვა ამოოხვრით დიდებამ.

— რაღა ეშველებათ, ეკ რომ მოუკვდეთ...

— ღმერთმა დაიფაროს... ღმერთმა ულხინოს...

ამ ლაპარაკში თინიკო ჩაის შეექცეოდა და ეურს უკვებდა  
დედა-დიდების ლაპარაკს. თან კი მის თვალებს არ მოშორე-  
ბია ღარბიულად მოწუობილი ოთახი, დაღვრემილი ბუსარი,



რომელიც კარების ჰირდაზირ იყო და უოველ შემსვლელს შვად შინათებდა ხოლმე; მაროს დედა, ლოკინში გულადმა მწოლარე და დაუიქრებული, ნაღვლიანი დიდება კეკე. თითონ მაროსაც კარებში ხედავდა, თითქოს დილას აქეთ, რაც დაბრუნდა, სულ ერთ ადგილას სდგასო. მია სანდროც მოიგონა—მაროს ძამა, ომში გაწვეული... და დადვრემილი წარმოუდგა თვალწინ. იმათი მძიერი ბოთვერა!.. დღეს სომ არც კი დაუეფია... უმწველად იმასაც ეძიება... საწული ბოთვერა!.. ფიქრობდა თინიკო და თან ჩაის შეექცეოდა.

უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო, როცა თინიკოს ლოკინი გაუძალეს და დააწვინეს. მაგრამ თინიკომ ვერ კიდევ კარგა ხანს იტრიალა საბან ქვეშ.

— დედი... დედი, ჰური მძიან, ჭა!..

— რა ვქნა... რა გაჭამო, შვილო: ჰურიც ქვასავით არის გამხმარი.

ვეურებოდა თინიკოს დიდება კეკეს და მის შვილიშვილ მაროს ლაზარაკი, დღეს რომ მოისმინა. ამ დროს მაროს დედას რომ ცრემლები გადმოსცვივდა და გადირბინეს უფერულ დაწვებზე—ესეც კი წარმოუდგა თვალ წინ.

— შვილო!—მოესმა ახლა დედის დარიგება, წელან რომ სთქვა,—გენაცვალე, ნუღარ წახვალ მარიანთსა: იქნებ მართლა სახადია, და რომ გადაგედოს—რაღა ვქნა? მამა-მენი სომ წუბალში გადასაგდები იქნება... ნუღარ წახვალ! არა... დილაზე ადგობა თუ არა,—მაროსთან გაიქცევა... წაიღებს საჭმელს, იმის დედასაც აჭმევს... ნასიამოვნები კეთილი დედა კეკე მიუბაღურსებს თავისებურად, ცრემლებიც მოადგება თვალებზე და სუციისკენ ხელეზამართული დალოცავს... მთელი დღე მათთან

იქნება, არ მოძორდება, და, როცა ძვე ჩავა, დაბნელებდა, ოთახს განათებენ...

აქ თინიკოს სელები ღუნედ დაეშვა ჭრელ საბახსე და ძილს მიეცა.

ძაკრამ დღის ათასნაირმა შთაბეჭდილებამ ისე როდი ჩაუარა. თინიკომ არეული სიზმრები ნახა.

აგერ თინიკო მშვენიერ ბაღში მოჭევა. ევაზილები ჭხიბლბუნ თინიკოს თავისი სიტურფით, სურნელებით, და ისიც დარბის, დასტის, ფუტკარივით არ უსვენებს ძათ. რაღაც არა-ჩვეულებრივი ძევა, — ძალსე ანათებს, ძაკრამ როდი სწვავს, არ აცხუნებს... აგერ ზეჰელას დაედევნა... დედავ, რამოდენა ზეჰელაა, და ასლა რა ჭრელი, რა ლაძახი!.. უნდა დაიჭიროს უკანკელად... ძირბის, დასდევს. ზეჰელა ფარფატით ხან სელიდან უსნლტება, ხან თავსე გადაუვლის ხოლმე და სელებ-ამართული თინიკო წუთით ერთს ადგილს ჩერდება... კიდევ, გამოეკიდა, და აი, ამ სირბილში სადღაც უსასღვრო სრამში გადავარდა... ეშინია, კრთის, იკუმშება და სულ-განათული ელის — როდის დაეცემა ამ ჯურღმულის ფსკერსე...

უცბად ძირს, სრამის სვეულში ვიღაცეებს მოჭკრა თვალი და გულ-შემხარავი ტირილი და ოხვრა მოესმა. თინიკო დააცქერდა და თავისი მეგობარი ძარო დაინახა, ძონძებში გასვეული, ძტირბლი... თინიკოს ამის დანახვასე გული მოეკუმშა, ეელში რაღაც მოაწვა. რაღაც სამინელმა ფიქრმა გაუელვა თავში და ძიხედ-მოისედა. ცოტა მოძორებით კრძელი კუბო იდგა, არა-ჩვეულებრივად კრძელი, და დიდება კმკმ მუსლ-მოდრეკილი მწარედ ქვითინებდა. ეს რომ დაინახა, სა-

შინლად აუბეგრდა გული, თავისი მოკლე კაბის კალთა შინაგანად  
რა თვალებზე, აშოიკუნესა და ტირილი დაიწყო.

— შვილო... თინიკო... შვილო... — მოესმა ამ დროს დედის  
სმა თინიკოს.

თინიკომ თვალები გახსილა, მაგრამ მანც გონს ვერ მო-  
სულიყო...

— შვილო... რათა სტირი... სომ არავინ შეგაშინა?!

თინიკომ ფუნხულა ხელები თვალებზე მოიხუა და დედას  
შესუდა.

— დედი... დედი... ნუ მოკვდება მაროს დედა... ნუ მოკვ-  
დება!.. — წამოიძახა თინიკომ და ტირილით დედას ჩაეკრა გულ-  
ში...

აღე





## შ ა თ ე რ ა კ ი



ზე კაი მანძილზე დაშორებოდა დედა-  
მიწას, მწვერვალისათვის მიეტანებინა,  
რათა იმისთვისაც გადაეშალა თავისი  
მსურვალე, მკრძნობიარე გული.

კვირბაზღღებოდა. ამის გამო სოფელი ჩონქოლში იყო.  
უკვლა საქმის მორჩენას სწრაფობდა. ბევრი თავმოქმედებდა  
ტარძლის კარ-მინდამო უკვე სუფთად გამოიფურებოდა. აქა-იქ  
მოსჩანდა ღობესე დაფენილი სარეცხი და მარჯილებზე ჩა-  
მოყძული მანქანის ქილები. ახლად დაბუდებულ კრუს-წიწი-  
ლის წივწივს ერთოდა ბატების სისინი. ალბად მათ მინდვრის  
სუფთა ჭაერთან არაფრად ესიაპოვნებოდათ გომის დახმული  
ჭაერი. შორს. ჯერ ურუდ, შემდეგ კი უფრო გარკვევით მოის-  
მოდა გამოსული გუთნის ჭრიჭინი, რომელიც გუთნის დე-  
დას მოჰქონდა სახლში. მამურალი გლეხობა მინდორ-ვენახე-  
ბიდან მიეჩქარებოდა სახლში. დაკარწახებული დედაკაცები  
ამოსჯდომოდნენ ძროხებს მოსაწველად და ერთი ალიაქოთი  
უდგებოდათ, როდესაც რმით წახალისებული ხბორები დედის  
ჯიქანს ეტანებოდნენ. ამ საერთო შრომისათვის თავი დაეღ-  
წიათ ახალგაზდა ქალებს, რომელნიც მორთულ-მოკაზმულნი  
ბაღჩას გადმოძვარიყვნენ და მოსიარულე ხალხის ცქერით  
ერთობოდნენ.

პატარა დათას უკვე ჩაუბარებია პატრონებისათვის წბორები. კარედ დერეფანშია ტახტზე წამოწოლილი და ჩუმად უურს უგდებს ხეების იდუმალ შრიალს, რომელიც ნახსნავით მოქმედობს მასზე და ძილს ჭკვრის.

დათა მესბორედ ედგა სოფელს და იოლად მიჰქავდა რმით თავისი ოჯახი. კარდა იძისა, რომ რქე მათ საზრდოთაც ჭყოფნიდათ, ერთ მის ნაწილს კიდევ ჭვიდდნენ, რომლის ფასით იძენდნენ ეველა საჭირო საგანს, მაგალითად—ჰურს, საზონს, სანათს, ჩასაცმელს და დასახურს. მამის სიკვდილის შემდეგ დათა-ლა იყო ოჯახის ერთად-ერთი შემნახველი. მას უნდა ეზრუნა ოჯახისთვის, რომელსაც არა გააჩნდა-რა, არც სახსნავ-სათვის, არც ურემი, არც ხარი და ცხენი. მესანახი იყო დედა და ვასათხოვარი და. ეველას უნდა გასძლიოლოდა უდროოდ ცხოვრების უღელში ჩაბმული დათა.

პირველი წელი მამის სიკვდილის შემდეგ მან სხვის კარზე მოჯამაგრობაში გაატარა. მაგრამ მოჯამაგრობაში აღებულმა სამმა თუძანმა არაფერი ძალაძო დასდო სახლს, თუძც არც დედა-შვილი ისხდნენ შინ გულ-სელ-დაკრეფილნი: ზრდიდნენ ქათმებს, ბატებს და ჭვიდდნენ, მაგრამ საშინელი სიძვირის გამო გაჭირებას თავი ვერ დააღწიეს. ბევრჯელ მშრალი ლუკმის მონატრულნიც კი იყვნენ, რადგანაც სახლში არა გააჩნდათ-რა გასაყიდი, სესხით კი არავინ ასესხებდა მათ.

ბევრი ფიქრის და ეოკმანის შემდეგ დათას დედამ არჩია შვილის სახლში დაბრუნება, რადგანაც იქ მეტი სარკებლობის მოტანა შეეძლო ოჯახისათვის. მწვემსავდა სოფლის სბორებს, რაშიაც იღებდა მუდამ კვირა საშაბათო რქეს და კარდა ამისა გარიგებული იყვნენ თითო ლიტრა ჰურს ნახორის დაძლინას. აღებულ ჰურით გამოიკვებებოდნენ ეველანი ზამთარში; მანამდის კი ამათ აღებული რქე აცხოვრებდა. ჭვიდ-

დნენ ზედ-მეტ რმეს კარგ ფასად ქალაქში. ვარდა მესბორეობისა დამა სხვანაირდაც სცდილობდა ოჯახის რჩენას: ჩამოჭქონდა ტუიდან გუდურები და ფასად აქცევდა. მას არ გამოეპარებოდა მინდორსა და ტეეში არაფერი. ეველაფერი, რაც კი მოვიდოდა იქ, თავის დროზე ჰკრეფდა და მიეზიდებოდა ქალაქს. ამგვარად მას არ გადაურჩა არც მარწუვი, არც მავგალი, სოკო, სარტყური, დანძილი და სხვა. ასლამ შვინდსა და ჰანტაზე-და იყო ჯერი მიმდგარი.

ლუკმა ზურს და ოჯახის საწიროებას იმდენი გადაანარჩუნა დათამ, რომ დედას და დას ფეხსაცმელები უყიდა და მამის წლის საწირავი ზურგით ჩამოტანილ გუდურებით გადაიხადა.

დათას დედა ერთ სინარულში იყო შვილის ასეთი გამრჯელობით და თვალ-აცრემლებულს ბევრჯელ წუწუნით უთქვამს:

— მამა-შენი შავ მიწას ამოეფარა და შენ ამაკს არ მოესწრო, თორემ ჩვენ როგორც იქნება ჩანჩალით გავატარებთ ამ წუთი-სოფელს...

არც სახლში აუენებდა ხელ-ფეხს დათა: ხან შემას სწრიდა, ხან ქალამნებს ასხამდა, ან არა და დედას შველოდა ბოსტანში.

— ჰალალი იუოს შენზე დედის ძუძუ!— იტოლდნენ სოლმე მესობლები მოფუსფუსე დათას დანახვაზე.

ნაუ... ნაუ... ნაუ... მოწეენით გაისმა სოფელში საუდრის ზარის ხმა.

დათას ხუმრობაში ჩასძინებოდა და სვეწნა დედისა, რომელიც სთხოვდა ადგომას, არ ესმოდა.

— ადგე, დედა კენაცვალოს, ჩამოიარე შაბათის რმეზე. ეგებ დროზე შევადგეო მაწენები, რომ სვალ მოასწრო მათი ქა-

ლაქს გაუიღვა და იარშუკასე სავაჭროების ეიღვაც,—ვევლავ განშუშორა დედამ.

დათა მარდად წამოდგა ფეხსე, ხელში აიღო დედის და-მხადებული რმის ჭურჭელი და საქმეს მიაშურა. ვიდრე დათა რმეს მოზიდავდა სახლში, დედამ ქვაბებს მოუყარა თავი, წუხ-ლი მოავლო, ღობესე მოამტვრია სმელები და ცეცხლი და-ახთო. ამ დროისთვის დათამაც მოიტანა რმე, რომელიც დედამ გასწურა. ორ დიდ ქვაბში მოაქცია და ერთი მათგანი ცეცხლსე შემოდგა.

— აგრემც დედა შემოგველოს, ამ რმეს ეური უგდე—არ გადმოვიდეს. ამას რომ- აადუღებ, მეორე ქვაბს შემოდგამ. შეკი ჩვენებიანთსა ავალ ზურის სასესესებლად,—შეესგეწა დედა დათას.

დათა მოუჯდა ქვაბს. წვეული ცეცხლი ჯიუტობდა და ძა-ლე მოჭებურდა მისი ცქერა. გასართობის ძებნას შეუდგა: ჩა-მოიღო ჩონგური და თავისი სავარელი სიმღერა „გენა-ცვალეთ, ვარსკვლავებო, მოწეენილო ცაო!“ დაჭმღერა. მაგრამ ძალე მისი უურადღება მიიძერო უფრო საინტერესო სავანმა. გულმა ძკერა დაუწყო. ძლივს იხელა ისეთი დრო, როცა თავისუფლად გასინჯავდა აკრძალულ თოფს. სხვა დროს სომ დედა და ძატრაკვეცა და ასლოს არ მიაკარებდნენ!..

ბევრი ატრიალბა, სინჯა და გული იჯერა მისი მხერით. საწეენად ის დარჩა, რომ თოფი გატენილი არ დახვდა.

— ეჰ, მინდორში რომ გამატანდნენ, რამდენ კურდღლებს მოვიტანდი,—გაიფიქრა დათამ.

დათა ჯერ კიდევ თოფის ლოლიაობაში იყო, რმე რომ ადუღდა. ქვაბი დანახვერდა თანდათან და ჰბერში დამწვარი

რძის სუნი დატრიალდა. საქმეში კართულმა ბოლოს-და იგ-  
რძნო ტრუსის სუნი. მივარდა რძეს, მაგრამ შენ მტერს, რაც  
იქ იხილას!

— დალახვროს ღმერთმა, რა მოსვლია!— წაიბურტუნა და-  
თამ და დააშტერდა ქვასს.

ის რომ ჩამოდგა ძირს, ასლა მეორე ქვების დაღმას  
შეეცადა; მაგრამ ისე უხერხულად დაავლო ხელი, რომ ხელი-  
დან გაჰვარდა და იქიდანაც ცარიელი დარჩა. იდგა საცოდნავად  
ფერ-წასული დათა და ჭირისუფალივით შეჭქურებდა იმ ორ  
საბუდისწერო ქვასს. შეჭქურებდა მათ და არ იცოდა, თუ რად  
დასჭირდა ავ-მაუნეს ასეთი ფათურაკის მივენება.

ამ საცოდნობაში მოუსწრეს დათას.

— ქრისტიანო, არ უეურებ ამ საძაგელს— რა უქნია?!— შე-  
ჭვეირა დათას დამ, თან ქვასებზე მიუთითა დედას.

— უი, თვალები კი დაშიდგეს!— შემოიკრა მუხლებზე ხე-  
ლები დედამ.— შე დალოცვილო, სხვა რაღა გებარა, რომ ამა-  
საც ვერ უპატრონე?— საეკედურით მიძარბა დედამ.

— ალბად ეშმაკობას მოჭკევა, რძე კი გადაავიწუდა,—  
სრულის რწმენით სთქვა დათას დამ და სახლის თვალიერე-  
ბას შეუდგა. მაგრამ თავის ტეხა არ დასჭირდა, რადგანაც  
თოფი იქვე ტანტზე დარჩომოდა, და ეს კი საბუთად საკმა-  
რისი იყო.

— მე კი არ ვიცო, რომ ეგრე იქნებოდა!— იძახდა დათას  
და, თან დედას თოფს უჩვენებდა.— აი, ამან დაუენა თვალები!  
ასლა ჩითის კაბას კი არა-და დიბა-ატლასს უეიდი, შენმა  
მხემა, არა?— არ ეშვებოდა გაჯავრებული და.

— კარგია, ქალო, დაესხენ! ვითომ კაბა არ მქონია. რა



დაკემართა! ბავშვი ისედაც შეწუსებულია, და შენ უარესად  
 უელს აწრევიანებ,—დაექომაცა დათას დედა, რომელსაც შვილი  
 კაბას კი არა-ქვეყნიერებას ერჩივნა.—ფათურავი აბა ვის არ  
 მოსვლია!

შერცხვენილ დათას კი სმა ვერ ამოეღო, მხოლოდ ჩუბად  
 იცრემლებოდა.

აღ. სარალიძე.





## მერცხლების გადაფრენა



ზაერთო თბილ ქვეყნებისკენ  
მერცხლების გადაფრენითა;  
უუურა, ნახა, და მე კი  
უნდა მოძღალოს სმენითა.

დაქინებული მიუვირის:  
— უური დამიგდე, დედაო!  
საქმე მაქვს, — აღარ შეშვებ, —  
რაც უნდა გამოვედაო.

მითხრა, და როგორ გადმოგცეთ?  
მისებრ ვერ ავტოტინდები!  
ამბავთა სმენით მოძღალა,  
ველარ მოჰქსოვე წინდები;


ხელსაქმე იქით გადავდე,  
უნდა ვუსმინო ამასა, —  
მიფრენენ, უჭიკჭიკებენ  
ბარტყები დედას, მამასა:

—აქ ახლა ცივა, გავფრინდეთ  
 თბილ ქვეუნებისკენ, დედანო!  
 იმათ რა უჭირთ, ვინაცა  
 ლამაზ სახლებში სხედანო!

—აქ ახლა ცივა: გავფრინდეთ,  
 ჭიკჭიკით შევძრათ არეო;  
 ვრცელია ჩვენი საურენი,—  
 დმერთო, შენ დაგვესმარეო!

ბაბილინა





## სპილო და პირთხა

(პიმენტოვისა)



სპილო ვეებერთელა ცხოველია, ეველა ცხოველებზე დიდი. ოდესღაც, მრავალი ათასი წლის წინად, ქვეყანაზე ცხოვრობდნენ სპილოზე კიდევ ბევრად უდიდესი, უზარმაზარი ცხოველები, რომლებსაც მამონტებს ეძახიან. მამონტები დიდი ხანია გაწუდნენ, მაგრამ ციმბირის უინულებში ახლაც ზოულობენ მათ ძვლებს და ხან-და-ხან მთელ სსეულებსაც.

სპილო არის მამონტის შთამომავლობა, სოლო, როკორც ვთქვით, მამონტი ბევრად უფრო დიდი იყო. სპილოსავეით მამონტსაც ჰქონდა ხორთუმი. უხორთუმოდ სპილოს ძალიან გაუჭირდებოდა ცხოვრება: სსეული ისე აქვს მოწყობილი, რომ თავით მიწას ვერ სწვდება. საჭმლის შოვნა მისთვის შეუძლებელი განდებოდა, რომ არ ჰქონოდა გრძელი ხორთუმი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს შედა ტუჩის, ცხვირის, ხელის

და თითების მაგიერ სძრობს. წუალსაც ხორთუმიტ სვაძს  
 ტანსაც ხორთუმიტ იგრილებს, ბლომად შეისრუტავს ხოლმე  
 წუალს და შადრევანივით ამოუშვებს ზევით.



მამონტი

ხორთუმის ბოლოზე მოთავსებული აქვს ჰატარა ხორც-  
 შერი, რომელსაც თითივით სძრობს. ამ ხორცშერიტ სწილოს  
 სულ ჰატარა ნივთის ადებაც კი შეუძლია.

ჩვენ ქვეყანაში სწილო აფრიკიდან და აზიიდან მოჰყავთ;  
 მისი ნახვა მხოლოდ სამხეცეში შეიძლება.

არ შეიძლება ითქვას, რომ სწილო ღამაზია. იგი ისეთი  
 დიდია, რომ ადამიანი მასთან სულ ჰაწია მოჩანს.

ერთსელ ცნობილმა მოგზაურმა ლივინგსტონმა აფრიკაში  
 მოგზაურობის დროს ნახა, როგორ შეაფარა თავი წვიმაში  
 ერთმა ზანგმა სწილოს უურის ქვეშ.

თუცა კაცი ასეთი ჰატარა სწილოსთან შედარებით, მაგ-  
 რამ ეს უშველებელი ცხოველი სრულიად ემორჩილება. ადამი-  
 ანს შეუძლია სწილო გაწვრთნას ისე, რომ ეოველი თავისი  
 ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულებინოს. სწილო ერთობ გა-

გებული და ჭკვიანი ცხოველია, ბევრ რამეს შესწავლა შეუძლია, ამასთან გამგონიერ არის და მოწინილიც.


ინდოეთში განვრთნილი სწილოები ბევრ სხვა-და-სხვა გვარ სამუშაოს ასრულებენ. ინდოელები ძალიან მოხერხებულად იჭერენ სწილოებს, ამინაზურებენ და თავის მოსამსახურეებად ხდიან.

ერთმა ინგლისელმა აფიცურმა ინდოეთიდან წაიყვანა სწილო, რომელსაც ძალიან შეუყვარდა ამ აფიცრის შვილები. ვეგლან დასდევდა და ისე უვლიდა, როგორც ნამდვილი გამადელი: წავიდოდნენ, მაგალითად, ბავშვები სათევზაოდ, წაიღებდნენ ანკესებს, სწილოც თან გაჰყვებოდა და მოთმინებით უცდიდა, ხანამ გაათავებდნენ. ხან-და-ხან თითონაც იღებდა მონაწილეობას. მშვენივრად შეისწავლა ანკესის ჩაგდება და არასოდეს არ გამოეპარებოდა ამოღების დრო: შეინძრებოდა თუ არა ანკესი, მაშინათვე ამოათრევდა თევზს.

სასოკადლოთ სწილო გულკეთილია, მაგრამ წუენას არ ივიწყებს და სამაგიეროს უეჭველად გადაგიხდის. ეს შურისძიება ხან-და-ხან ძალიან სასაცილო გამოდის. აი, მაგალითად, როგორ გადაუსხდა ერთმა გაწრთვნილმა სწილომ სამაგიერო ერთ თერძს, რომელმაც ნემსი უჩხვლიტა სორთუშე. ამ სწილოს ჩვეულებად ჰქონდა: როცა ქუჩაში მიდიოდა, ვეგლას სორთუშს აწვდიდა, — რასმე მომცემენო. ერთხელ ღია ფანჯარაში თერძი დაინახა, გაუწოდა სორთუში, მაგრამ ზურის მიცემის მაგივრად, თერძმა ნემსი უჩხვლიტა.

სწილომ გამოსწია სორთუში და თითქოს არაფერი მომხდარაო, მშვიდად გაუდგა გზას, მაგრამ ვეგლაფერი დაისსოვნა. მივიდა მდინარესთან, ჯერ სორთუშით წვალი აამღვრია, მერმე ბლომად შეისრუტა წვალი, დაბრუნდა უკან და ისევ თერძის ფანჯარასთან გამოიარა, უცებ მოიბრუნა სორთუში და ტალახიანი წვალით თავიდან ფეხებამდე გაწუწა თერძი.

წუხლი ისე მაგრად სჩქეუდა სორთუმიდან, რომ თერძის შეკირდები იატაკზე დაეცნენ და თითონ თერძიც ძალიან შეშინდა.



ზარიზის ბოტანიკურ ბაღში რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა ვეებერთელა სპილო. ხალხი, უფრო მეტად კი ბავშვები, ეოველ დღე დადიოდა მის სანახავად. მისი სიდიდე და ძალა ეველას აკვირებდა. განსაკუთრებით ბავშვებს უკვირდათ და უხაროდათ, რომ ამოდენა ცხოველი ასე დამშვიდებულად და ცნობის-მოუვარეობით უეურებდა მათ თავისი ჭკვიანი, ზაწია თვალებით.

სწილო, როგორც ეტეობოდა, შეეჩვია ტყეობას. პირველად სწილით თითქმის არაფერს სწამდა და მოუსვენრად დარბოდა რკინით შედობილ ბაღის კუთხეში, რომელიც მის ბინას შეადგენდა. ბაღს, როგორც იყო, შეეჩვია, დაწინარდა და სრულიად არ ეტეობოდა, რომ თავის სამშობლოს ტყე-ველი ენატრობოდა. არავის არ უნახავს ის აღელვებული, ეოველთვის დინჯი და დამძვიდეული იყო, მხოლოდ ერთსელ სანძინლად გააკვირვა მნახველები.

უსებ მალლა ასწია სორთუმი, და თითქოს უშველებელი მილიდან, ძალზე ამობერა ჰაერი; მერმე დაიწყო სორთუმის აქეთ-იქით ქნევა და ბოლოს მართო მეტად უძნო სირბილი და სტუნვა.

ხელსმა არ იცოდა, რაში იყო საქმე და ხარხარი მართო ამ უცნაურ ცეკვასზე. უეცრად სწილო შეჩერდა ერთ წუთს, თითქოს რაღაც აზრმა გაუბინა თავშიო, სწრაფად გაეშურა ვარცლისაკენ, რომელშიაც მისთვის სასმელი წყალი იყო, ჩაუშვა შიგ სორთუმი, გაივსო, ასწია მალლა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა—ამოისროლა წყალი. წყალს ცოცხალი ვირთხა ამოჰყვა და მიწაზე დაეცა. სწილომ აღარ დაბცალა გაქცევა, წამოუსვა სორთუმი და ისევ წყალში ჩააგდო. რამდენჯერმე შეეცადა ვირთხა თავის გადარჩენას, მაგრამ სწილომ ხელ-ახლად ჩააგდო წყალში; მერე სამჯერ აისროლა ჰაერში, და როცა ცოცხალ-მკვდარი ვირთხა მიწაზე დაეცა, ფეხით გასრისა.

ამჟამად იყო—სწილო ვირთხასზე ჯავრს იყრიდა, რადგან ბუნებით ისეთი მშვიდობიანი და კეთილია, რომ თითონ არავის დაეცემა თავს და სულ ჰაწია ცხოველებსაც კი გზას უთმობს.

რად დაუშავა მას ვირთხამ, ან საიდან გაჩნდა სწილოს გა-

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ლიაში—პირველად ეს ვერბენ კაციც, მაგრამ მერე უფრო ადვილად აიხსნა.

იმ დღეს თურმე ბადის მცველები ვირთხებსე ნადირობდნენ. ერთმა ვირთხამ სწილოს კალიას მიაშურა, და უკეთესი ადგილი რომ ვერ იშოვა, სწილოს სორთუმს დაებლაუჭა, ალბად იმ დროს, როცა სწილომ სორთუმი მიწასე დაუშვა ამ დაუბატოებელი სტუმრის გასაშინჯად.

რადა საკვირველი იყო, რომ სწილო გამწარდა და აქეთ-იქით ესეთებოდა, სხანამ მოიკონა საშუალება, როგორ მოეცილებინა თავიდან ვირთხა.

მაგია.



# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილია დ. ელითიშვილის მიერ)

ცეცხლი	ძველად სანთლის შავიერ რას ხმარობდნენ?	ან-ბანის მე-4 ტ მე-10 ასო შეა- ერთეთ და ორ- ჯერ იხმარეთ.	მ რ	ქალის სახელი	რეაქტორი
--------	--	---	-----	-----------------	----------



მე-12 №-ში მოთავსებულ შარადის და რებუსის ახსნა:

- 1) ვირი,—2) ჰეპელა.



9/174



# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

## წელიწადი **„ნაკადული“** წელიწადი მეტამეტე- **ნაკადული** მეტამეტე-

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**შურნალი გამომდის თვეში ორჯერ**

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმათ. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან-ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვაცუბინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნოს.

### **ხელის მოწერა მიიღება**

**თბილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალოშვილის სახლი, გოლოვიინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინსარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ღნინო ლომოურთან. **ჭიხაძურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ქავკანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში** მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**  
გამომცემელი **მ. პავლე იოსებისძე** თუმანიშვილი.